№ 17 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 24 იანვარი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთის ფასი 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

გვირას, 1920 წ. 25 იანვარს, დღის 12 საათზე, ცენ. სასოფლო სამეურნეო ბანკის ბინაზე (დამფ. კრ. ქუჩა № 5) დანიშნულია

## საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა

# წარმომადგენლების ყრილობა

განსახილველია საკითხები: 1. საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წარმომადგენლის მოხსენება არტელის საქმეების შესახებ. 2. საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია. 3. სხვა მიმდინარე საკითხები. ყრილობის წევრნი და ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულნი პროვინციელი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი გზავნიან ხსენებულ ყრილობაზე ამ განცხადების მიხედვით თითო წარმომადგენელს სათანადო რწმუნებულებით.
106 3—2

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, იანვრის 24 ს ოპერა მუშებისთვის

# ფრა-დიავოლო

კვირას, იანვრის 25-ს, დილით ვიშემირსკაიას ბენეფისი „გენზელი და გრეტელი“. საღამოს „აიდა“. ორშაბათს, სტუდენტის დღეს „ქეთო და კოტე“. სამშაბათს, იანვრის 27-ს „სოფლის პატივი და ჯამბაზები“. ოთხშაბათს, იანვრის 28-ს ზელინსკაიას ბენეფისი „ლაკმე“.

## ქუთაისის საცდელი მინდორის

გამგე ამით აცხადებს, რომ ამა წლის იანვრის 30 ს, პარასკევს, დილის 10 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ხარის და ცხენის ნაკელი. ქუთაისის მაზრის, სოფელ კულაშში, საცდელ მინდვრის ეზოში საჯარო. ვაჭრობა დაიწყება 5 000 მანეთიდან (ხუთი ათას მანეთიდან). ნაკელის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე. კულაში დაცილებულია სადგურ სამტრედიაზე 4 ვერსით.
3—3 96

ქუთაისის საცდელი მინდვრის გამგე გ. ჯაფარიძე

## მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ თანახმად 15 იანვრის 1920 წ. მთავრობის დადგენილებისა, ყველა წინასწარი ნებართვანი საქონლის გატანისა, გაცემულნი საქონლის გაცვლისა სხვა და სხვა დაწესებულებებიდან იმ პირობით, რომ სათანადო თანხაზედ უნდა ყოფილიყო შემოტანილი საქონელი, უნდა იქნას წარმოდგენილი სამინისტროში 30 ამა იანვრამდის.

ნებართვანი, რომელნიც არ იქნებიან წარმოდგენილნი დანიშნულ დრომდის, კარგავენ ძალას.
3—3 91

მომარაგების მინისტრი ერაძე.

ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

3 ნოემბერი, 1919 წ., № 374.

**დანიშნულია:** მიწის ნზომელის თანაშემწედ ბაქოს საშუალო ტეხნიკური სასწავლებლის კურს დამთავრებული ილარიონ თომას ძე თაქამაიაშვილი ოზურგეთის სამიჯნაო განყოფილებაში დანიშვნით, ა. წ. 30 ოქტომბრიდან.

№ 375.

**ინიშნება:** ტფილისის სამთო საკულტურო სატყეოს გამგე ი. ი. როზჩინი სატყეო საკულტურო ნაწილების გამგეთ და ამასთანავე ენდობა წინანდელივე თანამდებობა 1-ელ ნოემბრისთვიდან 1919 წლისა.

№ 376.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა: ტფილისის სახელმწიფო ღვინოთა სარდაფის მოხელე (მწერალი) ხუჩკოვსკი ამა წლის 1 ლ ნოემბრიდან.

**ინიშნება:** მოქალაქე ალექსანდრე რომანის ძე მრევლიშვილი ამავე სარდაფის მოხელედ (მწერლად) ამა წლის 3 ნოემბრიდან.

№ 377.

**განთავისუფლებულნი არიან:** მათდამი სამუშაოების დამთავრების გამო ახალქალაქის მაზრაში სავადასახლებო ფონდის გამომრკვევნი: შოგირაძე ბესარიონ მოსეს ძე, ლომთაძე დიმიტრი ამირანის ძე, კეცლიშვილი ვლადიმერ გიორგის ძე, ჯანელიძე ილარიონ პართენის ძე, ნორმუნდ გაშლევიჩი ვლადიმერ, მალგინი პეტრე თედორეს ძე, თათეიშვილი დავითი და ბალიაშვილი ივანე ამა წლის 1 ნოემბრიდან, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

№ 378.

**დამტკიცებულია:** კალათების დაწვნის ინსტრუქტორის თანამდებობაზე მ. ი. ჩავლეიშვილი ა. წ. 24 ოქტომბრიდან.

№ 379.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა: მიწათ-მოქმედების მინისტრის პირადი მდივანი კ. გამსახურდია ამა წლის 2 ნოემბრიდან.

№ 380.

**ინიშნება:** ტყის გამგის თანაშემწე ფ. ი. კოლტუნი ტყის გამგეთ ბაკურიანის სატყეოში.

5 ნოემბერი, 1919 წ., № 381.

ტფილისის ბოტანიკური ბაღის ფიზიოლოგიური ლაბორატორიის გამგის თანამდებობის აღმასრულებლობა დროებით ევალება ამავე ლაბორატორიის ასისტენტს ვ. ე. ალექსანდროვს ამა წლის 1-ლ ნოემბრიდან.

5 ნოემბერი, 1919 წ., № 382.

**ინიშნება:** ი. გ. დავითიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგეთ ქსნის სატყეოში თანამდებობის აღმასრულებლად.

6 ნოემბერი 1919 წ. № 383.

**დაინიშნოს:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობის ზედამხედველი ვ. ლ. ქიქოძე სასახლის კანტორაში ბუღალტრის ადგილზე ა. წ. 1 ნოემბრიდან.

6 ნოემბერი 1919 წ. № 384.

**გადაყვანილია:** მიწათ მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების საქმის მწარმოებელი ალექსანდრე იოსების ძე კლდიაშვილი იმავე სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილის საქმის მწარმოებლად ა. წ. 6 ნოემბრიდან.

10 გიორგობისთვე, 1919 წ. № 385.

**ინიშნებიან:** ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ბოტანიკურ კაბინეტის პრეპარატორთა დროებით თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის პოლიტეხნიკურის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტები—ნინო კახიძე და თამარ სულაქაძე, თვიურად 600 მან. ჯამაგირით თითოს ა. წ. გიორგობისთვის 16-დან.

11 ნოემბერი, 1919 წ. № 386.

**ინიშნება:** გ. ს. ბრეგვაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე.

11 გიორგობისთვე 1919 წ. № 387.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ნ. ა. დვალიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწედ, სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო.

13 ნოემბერი, 1919 წ. № 388.

**დათხოვნილია** სამსახურიდან და თანამდებობიდან: გ. ს. ქუთათელაძე პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 20 ენკენისთვიდან.

№ 389.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თ. დ. ვირუბოვი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად ა. წ. 1 სექტემბრიდან.

14 ნოემბერი, 1919 წ. № 390.

**ინიშნება:** პეტროგრადის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის კურს დამთავრებული ელისაბედ ლოლობერიძე აგრონომიულ დახმარების სექციის საქმის მწარმოებლად ა. წ. გიორგობისთვის 11-დან.

17 ნოემბერი, 1919 წ. № 391.

**ინიშნება:** სვიმონ სავვას ძე ბუტაევი წყალთა სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილების უფროსს ტეხნიკად ა. წ. 10 ნოემბრიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

30 დეკემბერი, 1919 წ., № 326.

**დაინიშნენ:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის არქივარიუსი გრიგოლ ფურცელაძე კანცელარიის მოხელედ და კანცელარიის მოხელე ელენე ფორაქიშვილის ნაცვლად არქივარიუსად ორივე 1920 წლის იანვრის 1-დან.

30 დეკემბერი, 1919 წ., № 328.

**იგზავნება:** იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში სასამართლო თანამდებობის უფროსი კანდიდატი მიხეილ პეტრეს ძე ლიხტგეიმი 1920 წ. იანვრის 1-დან კანდიდატისთვის მითვისებულ ჯამაგირის მიცემით.

30 დეკემბერი, 1919 წ., № 330.

**დაინიშნენ:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსი საქმის მწარმოებლები: ეფემია ყარანგოზაშვილისა ამავე კანცელარიის საინსპექტორო განყოფილების უფროსის თანაშემწედ და მიხეილ მონასელიძე საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწედ, ორივე 1920 წლის იანვრის 1-დან.

30 დეკემბერი, 1919 წ. № 331.

**ამოირიცხოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელეთა სიიდან გარდაცვალებული კანცელარიის მოხელე მარიამ მიხეილ სტროგანოვის ასული 1919 წლის დეკემბრის 16-დან.

30 დეკემბერი, 1919 წ. № 332.

**დამტკიცებულია:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის ბუღალტრის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე ზირაქიშვილი ბუღალტერის თანამდებობაზე.

30 დეკემბერი, 1919 წ. № 333.

**დაინიშნა:** დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძე იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსად ამა წლის ნოემბრის 1-დან.

30 დეკემბერი, 1919 წ., № 335.

**თავისუფლება ეძლევა:** ტფილისის სამომრიგებლო ოლქის მოსამართლეთა კრებულის თავმჯდომარეს გალაქტიონ აბესალომის ძე ტყემალაძეს ამა წლის დეკემბრის 25-დან ერთი თვის ვადით.

დეპარტამენტის მმართველი **ჟორდანია.**

—

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის სააღმინისტრაციო განყოფილებისა.**

10 იანვარი, 1920 წ., № 9.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, ხაშურის მომრიგებელი მოსამართლე ვლადიმერ პავლეს ძე სხირტლაძე წარსული 1919 წ. 1 დეკემბრიდან.

თავმჯდომარის მაგიერ **გრ. გველესიანი.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

4 დეკემბერი, 1919 წ., № 288.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან თანახმად მთავრობის დადგენილებისა და თხოვნისა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი ამა წლის 1 სექტემბრიდან.

9 დეკემბერი, 1919 წ., № 290.

**დაინიშნოს:** სავაჭრო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ სავაჭრო განყოფილების საქმის მწარმოებელი ალექსანდრე დიმიტრის ძე თუხარელი ამა წლის 1 დეკემბრიდან.

9 დეკემბერი, 1919 წ., № 291.

**დაინიშნოს:** სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის საწყობის გამგის თანაშემწედ ექსპედიციისვე კონტროლიორი ავგუსტინ ავგუსტის ძე მეცლერი ამა წლის 1 დეკემბრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

16 დეკემბერი, 1919 წ., № 292.

**განთავისუფლებულია:** თანამდებობისაგან და სრულიად სამსახურისაგან საერთო განყოფილების უფროსი ივანე ტიმოთეს ძე პოლუმორდვინოვი ტფილისის მეათე უბნის გამომძიებლად დანიშვნის გამო და თანახმად საკუთარ თხოვნისა ამა წლის 5 დეკემბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 დეკემბერი, 1919 წ., № 301.

**დათხოვნილ იქმნენ:** სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორები გიორგი მჭედლიშვილი და გრიგოლ ჟუჟუნიძე 1920 წ. 1 იანვრიდან.

27 დეკემბერი, 1919 წ., № 300.

**დაინიშნენ:** სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორებად ზაალ რაფიელის ძე ჩიხლაძე და ანდრია ბესარიონის ძე ქიქიაშვილი 1920 წლის პირველ იანვრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. ს. ჯუღელი (?) აგალიანი.

## არა ოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმეთა სამინისტროში.

### მაზრის მილიციის დებულება

ახლო-მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგება საერობო დაწესებულებათა სამაზრო და სასოფლო მილიციის დებულების შემუშავებას.

### მოხსენებები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება ფოთის საზღვაო საკარანტინო, სოხუმის საზღვაო საექიმო და სანაპირო საექიმო მეთვალყურე სადგურების ხარჯთ აღრიცხვების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა ტფილისის შრომის მოყვარეობის სახელზე მზრუნველ საზოგადოების ყოფილ ქონების ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისთვის გადაცემის შესახებ.

## განათლების სამინისტროში

### ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობაში წარდგენის შესახებ.

სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს სტამბის, ლიტოგრაფიის, ხრომო-ლიტოგრაფიის, ცინკოგრაფიის და მსწრაფლ-მბეჭდავის პატრონთა და მოიჯარადრეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 16 დეკემბერს მიღებულ კანონისა ბეჭდვითი სიტყვით ნაწარმოებთა მთავრობაში წარდგენის შესახებ, ყველა მათგანი მოვალეა შეასრულოს შემდეგი:

1. დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს რა სახის წარმოების (სტამბის, ლიტოგრაფიის, ხრომო-ლიტოგრაფიის, ცინკოგრაფიის, მსწრაფლ-მბეჭდავის) პატრონია, ან მოიჯარადრე, სად (ქალაქი, უბანი, ქუჩა, №) აქვს ეს წარმოება მოთავსებული, სახელი, მამის სახელი და გვარი, როგორც პატრონის, აგრეთვე მოიჯარადრისა და ორივეს ბინადრობის მისამართი;

2. წარმოადგინოს სრული სია ბეჭდვით სიტყვის იმ ნაწარმოებთა, რაც კი მის წარმოებაში დამზადებულა დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა (1918 წლ. 26 მაისი) შემკვეთელის ვინაობის და თუ შესაძლებელია, მისამართის აღნიშვნით;

3. ყველა გამომცემელი, ან ავტორი, ვისაც კი რაიმე დაუბეჭდავს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მოვალეა სამინისტროს წარუდგინოს თორმეტი ცალი ბეჭდვით სიტყვით, ან ნაწარმოებთა;

4. თუ გამოცემა ორგვარია, კარგს და მდარე ქაღალდზე სამინისტროს უნდა წარუდგინოს კარგს ქაღალდზე დასტამბულ-დამზადებული;

5. ბეჭდვით სიტყვის ნაწარმოებად იგულისხმება ყოველნაირი წიგნი ყოველ ენაზე დაბეჭდილი, გაზეთი, ჟურნალი, ალმანახი, ესტამპი, სურათი და სხვა ნახატი, გეგმა, რუკა, ნოტები, კალენდრები, პროკლამაციები და სხვა ამგვარი.

6. სამბეჭდელოს პატრონი ან მისი მოიჯარადრე ამ განცხადების შეუსრულებლობა-დარღვევისათვის დაისჯება ზემოხსენებულ კანონის მე 5 მუხლით გათვალისწინებულ წესით.

### 6 თვიანი პედაგოგიური კურსები.

განათლების სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა სახალხო სკოლათა მასწავლებლების საკმაო რიცხვის მოსამზადებლად 6 თვიან პედაგოგიურ კურსების გახსნის შესახებ. კურსები უნდა გაიხსნას დაახლოვებით 1 თებერვალს და გაგრძელდება 1 აგვისტომდე. კურსების მოსაწყობად განათლების სამინისტროს ვარაუდით საჭირო იქნება 240,000 მან.

### მასწავლებელთა დაკმაყოფილება „ხუთ წლეულებით“.

განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება სახალხო მასწავლებელთა „ხუთ წლეულებით“ დასაკმაყოფილებლად ხაზინიდან 4,293,333 მან. გაღების შესახებ.

### მილოცვა ხონიდან

განათლების სამინისტროს ხონიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა:

„პედაგოგიურმა საბჭომ მოისმინა რა გერმანიის (?) დირექტორის განცხადება ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, აღფრთოვანებით ეგებება ამ ცნობას, ულოცავს მთავრობას ამ დიად აქტს და თავის მხრით მოვალეთ ხდის თავს აღზარდოს თავისუფალ სამშობლოს შრომის მოყვარე, მოვალეობის გრძნობით გამსჭვალული და დემოკრატიულ წყობილებისათვის თავდადებული ახალგაზრდობა“.

## საგარეო საქმეთა სამინისტროში

### მისალმების დეპეშები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა შემდეგი შინაარსის დეპეშები მიიღო:

„გამოვთქვამ რა აუწერელ სიხარულს, გულწრფელ გრძნობას ძვირფასი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღიარების დიად აქტის გამო, მივესალმები რა ხალხს, დ. მფ. კრებას და მთავრობას პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა აღდგენის ესოდენ ფრიად საზეიმო დღეს და უსურვებ რა კეთილდღეობას და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის აღყვავებლად და ძალების გასამტკიცებლად,—მაქვს ბედნიერება დავამოწმო მთელი იაპონიური (?) ქართული კოლონიის ზეიმი. ჩემი სიცოცხლის უდიდესი სიხარული. მზად ვართ ყველანი, ჩვენ ძალ-ღონე მშვენიერ სამშობლოს საკეთილდღეო სამსახურს შევწიროთ.

საქართველოს რესპუბლიკის ელჩი თერგის ოლქში მაჩაბელი.

„ბათუმის ადერბეიჯანელთა ახალშენი საკონსულოსთან ერთად თქვენი სახით გულწრფელად მიესალმება ჩვენი ძვირფასი გურჯისტანის, როგორც ჩვენ ერთგულ მოკავშირეს, დამოუკიდებლობას, გიგზავნით საუკეთესო სურვილებს მეგობარ საქართველოს ახალ ცხოვრებისთვის და წარმატებას თქვენი სახელმწიფოებრივი ხომალდის ბრძნულ მართვაში.

ადერბეიჯანის გენერალური კონსული ეფენდიევი.

## ქალაქის თვითმმართველობაში.

### შუამდგომლობა.

ებრაელთა ეროვნულ საბჭომ და მუსულმან მოვაჭრეთა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით მიმართეს, რომელითაც მოითხოვენ ნება მიეცეთ მათ კვირა დღით ვაჭრობისა, რადგან მათ უხდებათ კვირაში ორი დღის უქმობა ერთი თვით ეროვნულ დღესასწაულის დღეს—ხოლო კვირა კი როგორც საერთო სავალდებულო. ქალაქის გამგეობა თანხმაა მათი თხოვნის და საჭიროთ სცნობს არ დაევალოს მათ კვირა დღეებში სავაჭროების დაკეტვა. ეს თხოვნა გამგეობის ასეთი დასკვნით გადაეცემა ქალაქის საბჭოს განსახილველად და დასადასტურებლად.

### ნიგვზის (?) ნიხრი.

ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი ნიხრი სამანქანო ქონზე (Машинное сало) შემდეგი ფასები; I ხარის. ფუთი 1000 მანეთ. II ხარისხის—500 მან. III ხარისხის—200 მან. (ყოველნაირი სატეხნიკო ქონი.)

### საქალაქო გადასახადი.

ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი პროექტი საქალაქო გადასახადების გადიდების შესახებ, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს.

### სტიპენდიები.

თანახმად პედაგოგიურ საბჭოს მიერ წარმოდგენილ სიისა მეორე ქალთა გიმნაზიაში თავისუფალი სტიპენდია მიეცა მოწაფე ქალებს 1) ელენე კანდელაკს და თამარა მინასოვას.

### „სტუდენტთა დღე“.

ქალაქის გამგეობამ „სტუდენტთა დღის“ გასართობი საღამოები გაანთავისუფლა საქალაქო გადასახადის ორი მესამედისაგან.

### დახმარება.

ქალაქის გამგეობამ საზ. „კაპეიკის კავშირის“ თავშესაფარის შესაკეთებლად გადასდო 10,000 მანეთი მოსკოვის სახალხო ბანკის ქალაქის გამგეობის შრომისა და სოც. დახმარების სახელზე მიმდინარე ანგარიშებიდან.

## ერობა

### ტფილისის სამაზრო ერობაში

### გადასახადების აკრეფა

ტფილ. სამაზრო ერობის დადგენილებით მთელ მაზრაში გაგზავნილია სამი კომისია ადგილობრივ ხარჯთამკრებ კომისიის მუშაობის თვალყურის სადევნელად. განსაკუთრებული კომისია ადგილობრივ კომისიასთან ერთად გამოარკვევს, თუ ვის რამდენი მიწა აქვს და ამის მიხედვით გააწერს გადასახადს: ერთდროულს, სასანიტაროს და საერობოს. ხალხი გადასახადს წესიერად იხდის.

### რაჭის ერობაში.

ზემო რაჭაში უკვე შიმშილობა დაიწყო. ერობის სასურსათო განყოფილებას დღეს სრულიად არა აქვს სიმინდი. ამ ჟამად კერძო პირები ფუთ სიმინდს 180 მან. ჰყიდიან. ერობამ მოწოდებით მიმართა ხალხს, რათა მათ განცხადებები შემოიტანონ გამგეობაში სიმინდის მოთხოვნილების შესახებ და ფულიც წარმოადგინონ. ერობის სასურსათო განყოფილება ყოველივე ზომებს ღებულობს სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად. უკვე აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დახმარებისათვის და ამ დღეებში მთავრობამ უნდა გაგზავნოს რაჭაში სიმინდი.

# საქართველოს კონსტიტუციისთვის.*)

## I.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფო ამ სიტყვის ნამდვილი უფლებრივი მნიშვნელობით, რომ მას არ ჰქონდეს თავისი საკუთარი ძირითადი კანონები, თავის კონსტიტუცია, რომლის თანახმად ეწყობა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახიერება სახელმწიფოს უმაღლესი ნებისყოფა და ისაზღვრება მისი მთავარი ორგანოების ურთიერთული დამოკიდებულება და კომპეტენცია.

სახელმწიფო უკონსტიტუციოთ იქნებოდა ანარქია—ამბობს პროფესორი ელინეკი [1])—კონსტიტუცია მოსდგამს ძველი ქვეყნის ტირანიასაც კი, ეგრეთ წოდებულ დესპოტებს ისე, როგორც იმგვარ წყობილებას, სადაც მართვა გამგეობა საზოგადოებრივი ხსნის დემოკრატიულ კომიტეტის ხელშია 1793 წლის საფრანგეთის მაგალითის მსგავსად“.

მაგრამ მაინც რა არის კონსტიტუცია? რაში მდგომარეობს მისი საგანი და დანიშნულება?

ლასალი საზღვრავს კონსტიტუციას, როგორც ძალთა ნამდვილ განწყობილებას სახელმწიფოში. მთავარ საზოგადოებრივ მომქმედ ძალთა ურთიერთობა და მასზე აგებული სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, როგორც სწორი გამომხატველი ამავე საზოგადოებრივ ძალთა დამოკიდებულების, წარმოადგენს ქვეყნის რეალურ კონსტიტუციას. ვისაც უნდა შესცვალოს სახელმწიფოში არსებული კონსტიტუცია, მან უწინარეს ყოვლისა უნდა შესცვალოს საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთური განწყობილება. სწორეთ ამ ძალთა განწყობილების ცვლილება არის კვაკუთხედი საზოგადოდ კონსტიტუციის ცვლილების. მემარჯვენეთ ამ ძალთა განწყობილების ცვლილების მოხდენა სურთ თავის სასარგებლოდ, ისინი ცდილობენ საზოგადოების ძალთა სიმძიმის ცენტრი გადახარონ მარჯვნით, კონსტიტუცია გაამარჯვენონ. მემარცხენენი თავის მხრით ამ ძალთა ცენტრს მარცხნით ეწევიან და რეალურ კონსტიტუციას ამარცხებენ. არსებითად ამაში მდგომარეობს პარტიათა ბრძოლის მთავარი აზრი და შინაარსი.

ის უფლებრივი ნორმები და წესები, რომელთაც ჩვენ დაწერილს თუ დაუწერელ კონსტიტუციას ვუწოდებთ, ამ რეალურ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთულ განწყობილებას უნდა შეესაბამებოდეს. უფლებრივი თვალსაზრისით კი, კონსტიტუცია, თუ გნებავთ, არის სახელმწიფოებრივი წესდება, სადაც აღნიშნულია სახელმწიფოს ძირითადი კანონები, რომლის თანახმად „იქმნება და სრულდება მისი ნება, ისაზღვრება მისი კომპეტენცია, წესრიგდება მისი წევრების მდგომარეობა“ და სხ. კიდევ სხვანაირათ რომ ვთქვათ, კონსტიტუცია არის იმ ძირითადი წესების კრებული, რომელიც საზღვრავს ერთის მხრით სახელმწიფოს წესწყობილების და მთავრობის ფორმას, სახელმწიფოს უმაღლესი ძალა-უფლების მატარებელ ორგანოების ურთიერთობას, მეორე მხრით მოქალაქეთა უფლებებს, რომელთაც სახელმწიფო უზრუნველ ჰყოფს.

კონსტიტუცია შეიძლება იქნეს დაუწერელი. ეს მაშინ არის, როცა იგი ემყარება დაუწერელ უფლებას, ჩვეულებებს, უკეთ ჩვეულებითი უფლებას ან კიდევ ჩვეულებრივი წესით გამოცემულ ჩვეულებრივ კანონებს, სამოსამართლო განაჩენებს, ტრადიციებს და სხ. ასეთი კონსტიტუციის მაგალითს წარმოადგენს ინგლისის კონსტიტუცია. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპი კონსტიტუციის თანამედროვე ხალხთა პოლიტიკურ-უფლებრივ ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. საზოგადოთ გავრცელებული კონსტიტუციის ტიპი არის დაწერილი კონსტიტუცია. სამაგალითოთ შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთი, ხოლო დაწერილ კონსტიტუციის წმინდა ტიპად უნდა მივიღოთ, როგორც ხალხის უზენაესი ნების გამოხატულება—დემოკრატიული კონსტიტუცია. (შ. ბორჟო. Учрежденіе и пересмотръ конституцій გვ. 34).

ბევრი იმ აზრის იყო და არის, რომ კონსტიტუცია ყოველთვის დაწერილი უნდა იყოს, დაუწერელი კონსტიტუცია კონსტიტუცია არ არისო. თომასპენი ფიქრობდა, რომ თუ ჯიბეში კონსტიტუციის ჩადება არ შეიძლება, იგი არ არსებობს ე. ი. კონსტიტუცია ყოველთვის წერილობითი უნდა იყოსო. ზოგიერთები კი და მათ შორის ყველაზე უკიდურესი ჟ. დე მეტრი, აღიარებენ, რომ პოლიტიკური კონსტიტუციის ფუძე ყველა დაწერილ კანონამდე არსებობს, საკონსტიტუციო კანონი არის მხოლოდ განვითარება ან დამტკიცება ადრევე არსებული დაუწერელი უფლების. დე-მეტრი პირდაპირ ამბობს, რომ კონსტიტუცია არასოდეს არ იწერება და არც შეიძლება დაიწეროსო. დე მეტრი, როგორც მონარქისტი და კათოლიკე კონსტიტუციას ღვთაებრივ ხასიათს აძლევს, ამიტომ იგი უარყოფს, რომ ადამიანის ჭკუა გონებას შეეძლოს კონსტიტუციის შექმნა და დაწერა. ცხადია ასეთი ღვთაებრივი ხასიათის საბუთი დაწერილი კონსტიტუციის არსებობის წინააღმდეგ უსაბუთობას უდრის და იგი სრულიად არ ეგუება თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკურ სინამდვილეს, რომელიც თვალნათლივ ამტკიცებს საზოგადოებრივ წყობილების რყევას და კონსტიტუციების შექმნასა და ცვლას სწორეთ ადამიანთა შრომისა და ბრძოლის მეოხებით.

დაწერილ კონსტიტუციების მიზანი, ბორჟოს თქმით, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ განამტკიცოს და დააკანონოს არსებული ფორმები, როგორი გზითაც—რევოლიუციით თუ ევოლიუციით—უნდა იყვნენ წარმოშობილი ისინი. კონსტიტუციებს ჰქმნიან, „აკეთებენ“, მაგრამ არა იმ აზრით, რომ სრულიათ ახალი, სახელმწიფოსთვის სრულიად უჩვეულო და შეუსაბამო ფორმები და მართვა-გამგეობა გამოსახონ და დაამყარონ. თითქმის ყველა თავისუფალი ხალხი და დემოკრატიული სახელმწიფო კონსტიტუციას იწერს თავისთვის და ამ მხრით მისდევს ამერიკის და საფრანგეთის წერილობითი კონსტიტუციების მაგალითს და არა ინგლისურ სისტემას დაუწერელი კონსტიტუციისას, რომელიც მიმბაძველს ვერ ნახულობს და თითქმის სრულიად განმარტოებული სდგას კონსტიტუციათა ისტორიაში. დაწერილი კონსტიტუცია წარმოადგენს უმთავრესათ „გარანტიათა კანონს, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის სუვერენულ უფლებებს და თავისუფალ განვითარებას. და ყველაზე უფრო დაწერილი, მეცნიერულათ შემუშავებული კონსტიტუცია სწორეთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ესაჭიროება. (ბორჟო იგივე თხზულება. გვ. 36 და 39).

ზოგიერთი კონსტიტუციები ბოძებულია ან წარმოადგენს ხარტიას, ერთგვარ შეთანხმებას მეფისა და ხალხს შორის. ასეთი კომპრომისული ხასიათის და ბუნების არის კონსტიტუციურ მონარქიების დიდი უმრავლესობის კონსტიტუციები, მაგრამ არის მეორე გვარის კონსტიტუციები, რომელთაც საფუძვლად უძევს ხალხის სუვერენიტეტის აღიარება და რომელნიც დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედებენ. აქ კონსტიტუციას აწესებენ,

*) კონსტიტუციის საკითხი დიდი სახელმწიფოებრივი საკითხია. დამფუძნებელი კრების უმთავრესი მიზანიც საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაა, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის ყოველ მხრივ გაშუქება. ბ. პ. საყვარელიძის წერილების დასრულების შემდეგ, კონსტიტუციის შესახებ სხვა მცოდნე პირთა აზრთა გაცვლა-გამოცვლასაც სიამოვნებით დავბეჭდავთ. რედ.

[1]) იხ. მისი „ზოგადი სწავლა სახელმწიფოზე“, რუსულად, თავი 15 „სახელმწიფოებრივი წესწყობილება“.

### გორის ერობაში.

გორის სამაზრო ერობამ ასი ათასი მანეთი მისცა ქალაქის თვითმართველობას მოკლე ვადიან სესხად.

—

ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ზომები იქნეს მიღებული, რათა რესპუბლიკის ფარგლებში სურსათი კერძო პირების მიერ არ იქნეს გატანილი საზღვარგარეთ.

### სიღნაღის ერობაში.

#### სკოლები.

სიღნაღის მაზრაში ამ ჟამათ ერობის მიერ გახსნილია 68 სახალხო სკოლა და 4 უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი.

—

მიწის ფონდიდან ერობის განკარგულებაში გადავიდა რამდენიმე მამული, მათ რიცხვში: ცნფიანჯიანცის ბაღები, ჩუმლაყის სანერგე და ყარათნოვკის საცდელი მინდორი.

—

ერობათა მცირე ერთეულების რეორგანიზაცია დამთავრდა. სოფლის საზოგადოების ტერიტორიის მიხედვით მაზრა დაყოფილია 26 მცირე ერთეულებათ.

—

დადგენილ წესისამებრ რაიონის მილიციის უფროსი ირჩევა მცირე ერობის ერთეულის მიერ რასაც ამტკიცებს სამაზრო ერობის გამგეობა.

—

მთავრობის მიერ გაღებულ ყველა კრედიტებს სკოლებისა და ადმინისტრაციის შე'ანახად სამაზრო ერობა აძლევს სარაიონო ერობებს მათ განკარგულებაში. სარაიონო ერობას არავითარი საკუთარი შემოსავალი არა აქვთ., მათ მხოლოდ თვითდაბეგვრის და გამგეობის შენახვის უფლება აქვთ.

### თიანეთის სამაზრო ერობის დადგენილებანი:

აღიძრას მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე სათანადო შუამდგომლობა, რო მან მოახდინოს განკარგულება, რათა ერობის გამგეობას გაეხსნას კრედიტი თელავის ხაზინაში, ან და ავანსად გადმოეგზავნოს მას საერობო კასიდან გაღებულ თანხის 12600 მანეთის დასაფარავად.

შუამდგომლობა აღიძრას განათლების მინისტრის წინაშე, რომ სამინისტრომ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა მიეცეს მასწავლებლებს ხატვა-ხაზვის, გალობისა და ტანთ-ვარჯიშობის სწავლებისათვის ჯილდო.

ერობის გამგეობა იღებს რა მხედველობაში ერობის მუშა მოსამსახურეთა და ადმინისტრაცია-მილიციის მოხელეთა ნივთიერ მდგომარეობის და პირველ საჭიროების საგნების მოსალოდნელ კრიზისს, მოვალეთ რაცხს იზრუნოს მათი აუცილებელი მდგომარეობის შე'ამსუბუქებლათ შეძლებისდაგვარათ დაეხმაროს მათ სანოვაგით, „ფურაჟით“ და სხვით. აგრეთვე აღძრულ იქმეას მიწათ-მოქმედების წინაშე შუამდგომლობა, რათა მან თიანეთის მაზრაში სახელმწიფო საფონდო მიწებიდან აკრეფილ და მაღაზიებში დ გროვილ ღალებიდან გადასდოს ორმოცი პროცენტამდე ფურის, ქერის, თივის და ამით უზრუნველყოს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურენი (ღირებულება იქნება გადახდილი პირველ მოთხოვნისთანავე).

—

## საადგილ-მამულო რეფორმა სამურზაყანოში

სამურზაყანოს მაზრაშიაც ბლომათ არის ეგრედ წოდებული სათემო, საეკლესიო და სასკოლო მიწები. აქ მიწების კონფისკაცია, თანახმად 16 დეკემბრის 1917 წ. და 7 მარტის 1918 წ. კანონებისა დაგვიანებით დაიწყო, ვინაიდან 1918 წელში მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუშალა ბოლშევიკურმა ანარქიამ. 1919 წელში თებერვლიდან მაზრაში მოეწყო სამი მიწების მიმღები კომისია, რომლებმაც ამავე წლის ნოემბრამდე იმუშავეს და ღებულობდნენ კერძო მემამულეების მიწებს. სამწუხაროდ მათი მუშაობა ზოგიერთ ადგილას ნაჩქარევი და უსწორო ნამოქმედარიც გამოდგა, რომლების გასწორებაც უნდა იკისროს სამაზრო ერობამ. წვრილი, სადაო და გაუმიჯნავი მამულების მიღება ჯერ არ დაწყებულა. ჯერ-ჯერობით კი მიღებულია სახელმწიფო ფონდში:

1) ოტობაიას რაიონში—1835 დეს. 260 ოთხკ. საჟ. (აქედან საყანე 425 დეს. 160 ოთხკ. საჟ., ტყე 1248 დეს. 600 ოთხკ. საჟ., ბუჩქნარი 161 დეს. 1900 ოთხკ. საჟ.).

2) ბედიას რაიონში—1715 დეს. 1460 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ-სათესი 174 დეს. 1750 ოთხკ. საჟ., ტყე 1292 დეს. 1570 ოთხკ. საჟ., სათიბავი 20 დეს.

3) თაგილონ-ნაბაკევის რაიონში—132 დეს. (აქედან სახნავ-სათესი 55 დეს., ბუჩქნარ-საბალახო 78 დეს.

4) ბარღების რაიონში—521 დეს. 828 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ სათესი 446 დეს. 600 ოთხკ. საჟ., ბუჩქნარ-საბალახო 75 დეს. 228 ოთხკ. საჟ.).

5) ქვაზურის-ხინჯის რაიონში—283 დეს. 1132 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ-სათესი 198 დეს. ბუჩქნარ-საბალახო 85 დეს. 1132 ოთხკ. საჟენი).

6) ნაბაკევის რაიონში—344 დეს. (აქედან სახნავ სათესი 106 დეს., ბუჩქნარ-საბალახო 238 დეს.

7) საბერიოს რაიონში—45 დეს. 940 ოთხკ. საჟ (აქედან სახნავ-სათესი 21 დეს. 2300 ოთხკ. საჟ. ბუჩქნარ საბალახო 18 დეს. 380 ოთხკ. საჟ., ჩირგვნარი 5 დეს. 660 ოთხკ. საჟ.).

8) გუდავას რაიონში—3624 დეს. 1667 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ-სათესი 114 დეს. 2300 ოთხკ. საჟ. ტყე 1839 დეს. 590 ოთხკ. საჟ, საბალახო 1392 დეს., ბუჩნარი 278 დეს. 1177 ოთხკ. საჟ.

9) რეჩხო-ცხირის რაიონში—258 დეს. 674 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ-სათესი 33 დეს. 90 ოთხკ. საჟ. ტყე 47 დეს., ბუჩქნარ-საბალახო 178 დეს. 584 ოთხკ. საჟ.)

10) გაგიდა ნაჭკადოუს რაიონში—891 დეს. 1876 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ-სათესი 258 დეს. 1810 ოთხკ. საჟ., ტყე 163 დეს. 287 ოთხკ. საჟ., ბუჩქნარი 442 დეს. 326 ოთხკ. საჟ, საბალახო 27 დეს. 1853 ოთხკ. საჟ.)

11) რეფო-შეშელეთის რაიონში—2052 დეს. 1390 ოთხკ. საჟ. (აქედან სახნავ სათესი 249 დეს. 2120 ოთხკ. საჟ. ტყე 1245 დეს. 1820 ოთხკ. საჟ., ბუჩქნარი 556 დეს. 2250 ოთხკ. საჟ)

12) ოქუმის რაიონში—111 დეს. 780 ოთხკ. საჟ (აქედან სახნავ-სათესი 56 დეს. 180 ოთხკ. საჟ., ბუჩქნარ-საბალახო 55 დეს. 600 ოთხკ. საჟ.).

ჯერ-ჯერობით სულ მიღებულია ფონდში: 11815 დეს. 1307 ოთხკ. საჟ.

ამაში არ შედის დ. გალის, პირველ-გალის, ცხირო-გალის და დ. აჩიგვარის რაიონების მიწები, რომლების შესახებ ცნობები ამ ჟამად ხელთ არ გვაქვს.

სარაიონო საადგილ-მამულო კომისიები იმ რაიონებში, სადაც მოთავსებულია მამულების მიღება ამ ჟამად ადგენენ სიებს უმიწაწყლო და მცირედი მიწების მქონეთა შესახებ.

ა. ზ—ბაია.

—

## დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### ფრანგული პრესა.

პარიზის ცნობების მიხედვით იტალიის რკინისგზელთა გაფიცვას თითქმის საერთო ხასიათი მიუღია. ჯერჯერობით არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. მილანსა, ტურინსა და პიზაში ზოგი პირი დააპატიმრეს. სრული გაფიცვაა ვენტიმილსა და პიაჩენცში. რომიდან, სადაც გაფიცვებს ვიწრო ხასიათი აქვს, მატარებლები ნორმალურად გადის.

ინდო-ჩინეთის ახალი გენერალ-გუბერნატორი მორის ლონგი ოთხშაბათს პარიზიდან გავიდა.

ბელგიის მეფე, რომელიც ინკოგნიტოდ პარიზში ჩამოვიდა ოთხშაბათს ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტს და მას დიდხანს ესაუბრა.

### სამხედრო ცნობები.

**მოსკოვი.** რეჩიცის რაიონში ცხარე ბრძოლა გრძელდება. მოზირის რაიონში სადგურ პტიჩის აღმოსავლეთით რკინის გზასთან ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლებია. ბერდიჩევს და ჩუდნოვის მიმართულებით ჩვენი ნაწილები იბრძვიან ბერდიჩევიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით 50 ვერსზე მდებარე დაბა-ჩუდნოვთან ელიზავეტგრადის რაიონში მტერი, რომელიც ნოვო-მირგოროდის წართმევას სცდილობდა, უკუვაქციეთ ამ ქალაქის სამხრეთისაკენ. პერეკოპის რაიონში ჩვენი წინმავალი ნაწილები პერეკოპიდან ჩრდილოეთით 10 ვერსის დაშორებით იბრძვიან. გენიჩესკის რაიონში ჩვენ უკუვაგდეთ მტრის კონტრშემოტევა გენიჩესკის დასავლეთით 15 ვერსზე. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენი წინამავალი ნაწილები მტერს ავიწროვებენ ხოლოდნაიას ხაზის სამხრეთით. ცარიცინ—ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენ გადავედით ილოვაისკოეს ხაზზე, ოლგინსკიდან სამხრეთით 30 ვერსზე და დავიჭირეთ ზიმოვნიკასა და ტორგოვსკის სადგურები. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა და ჭერა კოროლკოვის ხაზი, რომელიც ბურუნსკისა და ვალუშკის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე იმყოფება. კიზლიარის რაიონში მოწინააღმდეგეს უნდოდა ტერუმოვკის აღება, მაგრამ უკუგდებულ იქმნა და დიდი ზიანი მივაყენეთ.

**მოსკოვი**, იანვ. 22. გუშინ შესრულდა სამგლოვიარო წელი 15 წლის წინათ მეფის მთავრობის მიერ დახვრეტილ მუშებისა. 15 წლის წინათ პეტერბურგის ქუჩებზე მეფის ტყვიის მფრქვეველთა ხმა გაისმოდა, უანგარიშოდ ჟლეტდა იგი პროლეტარებს სატახტო ქალაქის ქუჩებში, ეხლა ჩვენ მათი დახვრეტისათვის სამაგიეროს ვუხდით მტერს ჩვენის გამარჯვებით. მათი დაღუპვისათვის ჩვენ ეხლა შურს ვიძიებთ რევოლუციონური შრომით. დიდება განსვენებულთ. ცოცხლებო წინ გავსწიოთ.

**მოსკოვი**, იანვ. 23 სოვნარკომის სრულიად უკრაინის რევკომთან შეთანამებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონში იქნება უკრაინის საბჭო მშრომელი არმიისა. ამ საბჭოს მიზანს შეადგენს სურსათ სანოვაგისა და ნედლი მასალის შეძენისათვის გაძლიერებული შრომა, სავ ჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში შრომის დისციპლინის შექმნა და აგრეთვე დაწესებულებებისათვის მუშა ხელის მიწოდება. საბჭოს განკარგულებაში გადადის სამხედრო და სათადარიგო ნაწილები.

**ხარკოვი**, იანვ. 19. გალიციის ჯარები საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადმოვიდა საერთო მხრის პოლონეთის პანების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

—

## სხვა და სხვა

◆ მთავრობის თავმჯდომარემ იტალიაში მყოფ ქართულ მისიისაგან 18 იანვრის თარილით შემდეგი შინაარსის რადიო დეპეშა მიიღო:

„ღრმა სიხარულს გამოვსთქვამთ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო. მივესალმებით და მიულოცავთ ქართველ ხალხს, ვუსურვებთ, რომ ამ გამარჯვებამ გაუდიდოს ძალები და გაამაგროს სახელმწიფოს გამტკიცებისა და მისი მომავლის უზრუნველსაყოფათ ბრძოლასა და მუშაობაში“

◆ გუშინ დაახლოვებით დილის 7 საათზე სამინისტროების შენობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბინის სახურავის ქვეშ ცეცხლი გაჩნდა. დაუყონებლივ გამოუშვეს იქნა გვარდიელები, ჯარის კაცები, და ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელთა ერთგული მოქმედებით 9 საათზე ცეცხლი სრულიათ ჩაქრა.

დაზიანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების ჭერი, რომელიც ზოგან ჩამოანგრია წყალმა, ცეცხლის ჩაქრობის დროს; შემდეგ წყალმა დააზიანა აგრეთვე ქვემო სართულში მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ბინა.

ამის გამო გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში და მიწათ-მოქმედების სამინისტროში მუშაობა არ ყოფილა.

ყველა საქმეები და ავეჯები გადაარჩინეს.

ცეცხლის მიზეზი გამოურკვეველია, ფიქრობენ, რომ იგი გაჩნდა ღუმელში, ჭკარტლისგან.

◆ ქუთაისის გუბერნიაში ყოფნის დროს განათლების მინისტრმა გ. ნ. რამიშვილმა ზოგიერთ დაბალ და საშუალო სასწავლებლების რევიზია მოახდინა.

დღეს 24 იანვარს, ფრეილინის ქუჩ., № 11 საღამოს 7 საათზე, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ: ინჟ. მ. ყაუხჩიშვილი „საზღვარ გარეთელი შთაბეჭდილებანი“ და ინჟ. ვ. კაკაბაძე „საჭირო ტეხნიკური საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან კავშირში“.

◆ კვირას, იანვრის 25 ს შუადღის 12 საათზე შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის სხდომა.

◆ ქვედა ილემში (შორაპნის მაზრა) ვ. მაჭავარიანის ინიციატივით დაარსდა სამკითხველო. სთხოვენ აღმოუჩინონ ახლად გახსნილ სამკითხველოს დახმარება.

შემოწირულებას მიიღებს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მაქ. გაბაშვილი.

◆ კვირას, 25 იანვარს, დილის 11 ს. სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია ქართველ სტუდენტთა საგანგებო კრება, რომლის საგანია „სტუდენტთა დღის“ საკითხის განხილვა.

◆ სომხეთში ძალიან გაძლიერდა სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი. ერევნიდან იუწყებიან, რომ ეპიდემიების გამო არ შესდგა ექიმთა ყრილობა.

—

## აგრარული რეფორმა შორაპნის მაზრაში.

ს. მენაღარიშვილის მოხსენება*)

მე მინდა ქრონოლოგიურათ აღვნიშნო ყველა ის დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიდენ რეფორმის გატარებას შორაპნის მაზრაში და ამ დაბრკოლებათა გათვალისწინე-

*) მოხსენება წაკითხულ იქნა ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზე.

---

აფუძნებს თვით ხალხი, მპყრობელი უზენაესი ძალა უფლების, ან პირდაპირ ან კიდევ თავის წარმომადგენელთა საშუალებით.

ჩვენს სამშობლოში დემოკრატიული წესწყობილება არსებობს. საქართველოში პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება ბრძანებლობს. დამფუძნებელი კრების უმთავრესი დანიშნულება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება და მიღებაა. და აი დამფუძნებელი კრებაც ცოტა ხნის შემდეგ შეუდგება საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას, იმ პროექტის, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა ყველას საყურადღებოდ და საცნობად. ვფიქრობთ, ეს გარემოება უთუოთ გამოიწვევს პოლიტიკური მწერლობის მნიშვნელოვან გამოხმაურებას და საშუალებას მისცემს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ჩვენი რესპ. სვე-ბედით, ფრთხილათ აწონ-დაწონოს ყოველი თავი, ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვა საკონსტიტუციო პროექტისა და ამ გვარათ თავის კრიტიკული შეხედულების გამოთქმით და საზოგადოებრივი აზრის ამუშავებით პირდაპირ ჩაერიოს ხალხის კონსტიტუციურ ნების ჩამოყალიბებაში.

დღეს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი დიდ სახელმწიფოთა არეოპაგის წინაშეა დასმული ევროპაში. ჩვენ მოულოდნელათ ველით ჩვენი სახელმწიფოებრივების, ჩვენი ერის სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის ცნობას. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა დაუშვათ, რომ ვინმე ძლიერთაგანი ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ძალმომრეობის და უსამართლობის გზაზე შესდგება და ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების წინააღმდეგ გაილაშქრებს. საქართველოს აქვს შეურყეველი უფლება, გამტკიცებული ისტორიით დადაგვირგვინებული ხალხის დემოკრატიული თვითგამორკვევით, გაფოლადებული რწმენით შეხედოს თავის მომავალს. ჩვენს სულისკვეთებას იზიარებს და აწი კიდევ უფრო გაიზიარებს საერთაშორისო დემოკრატია. პროფ. ა. აცაგარელი თავის უკანასკნელ ხანში გამოქვეყნებულ შრომაში, ამბობს, რომ ქართველები მოითხოვენ რა თავის სახელმწიფოებრივ უფლებათა აღდგენას და აღიარებას, ემყარებიან არსებულ საერთაშორისო უფლებას და იმედი აქვთ პირველ-ყოვლისა კანონიერების, სამართლიანობის და მართლ-მსაჯულების, რომელიც გამომდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო კანონმდებლობისაგან. [1]) მაგრამ ამ ისტორიულ უფლების სამართლიანობას თანახლავს და ადასტურებს დღევანდელი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ქართველი ხალხის, რომელიც სრულიად თვითგამორკვეული, თავისუფალი ნების აღიარებით აცხოველმყოფელებს და აკანონებს თავის დამოუკიდებლობას.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა ჩვენი საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენ შინაური სახელმწიფოებრივი ძალების სიმტკიცეს და ორგანიზაციას უნდა დავემყაროთ, ჩვენვე ვიცნოთ და შევიგნოთ ჩვენი თავი და მთელს ჩვენ კოლექტიურ არსებაში გავაუკვდავოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. კონსტიტუციის მიღება დამფუძნებელი კრების მიერ ეს იქნება უდიდესი სახელმწიფოებრივი შემოქმედება, უდიდესი გამამტკიცებელი, დამფუძნებელი აქტი, მაჩვენებელი ხალხის ნებისყოფის და ბრძანების. მის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყველამ მტერმაც და მოყვარემაც.

(შემდეგი იქნება)

ვ. ხაჯვარელიძე.

[1]) პროფ. ა. ა. ცაგარელი. „Непререкаемыя права грузіи, ტფ. ა. არაბიძის გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიდან გამოვძებნოთ ის რადიკალური საშუალებანი, რომლებიც მაქსიმალურად დააჩქარებდენ აგრარულ რეფორმის გატარებას.

შორაპნის მაზრა დაყოფილია 12 საგრარო რაიონებად: ყვირილის, კვალითის, ხარაგოულის, წიფა-მარელისის, ძირულის, შორაპან ზოსლევის, საჩხერე ჭალის, კორბოულოჩის, ზრეთის, მარცხენა ჭიათურის, მარჯვენა ჭიათურის და საზანოს. გასულ 1919 წ. მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ რვა რაიონებში: ყვირილის, კვალითის, ხარაგოულის, წიფა-მარელისის, ძირულის, საჩხერე-ჭალის, მარცხენა ჭიათურის და საზანოს. მუშაობა ყველა ამ რაიონებში ერთ და იმავე დროს არ დაწყებულა. საზოგადოთ შორაპნის მაზრაში მუშაობა დაიწყო სხვა მაზრებთან შედარებით დაგვიანებით, მაგალითად პირველ ოთხ რაიონეში დაიწყო მუშაობა 9 ივნისიდან, დანარჩენ ოთხში კი აგვისტოს პირველ და უკანასკნელ რიცხვებში. ყველა ამის მიზეზი იყო მიწის მზომლების უყოლობა არა ერთხელ იყო ზომები მიღებული ერობის გამგეობის მიერ, რათა სამინისტროს გადმოეგზავნა საკმაო რიცხვი მიწის მზომლებისა, მაგრამ ვერ იქნა დაკმაყოფილებული უკანასკნელისაგან, მიწის-მზომლების უყოლობის გამო. იყო აგრეთვე ნაკლულევანება მდივნებისა, ვინაიდან ძნელი შეიქნა გამოცდილი და მცოდნე პირების შოვნა. მიწების სრულად მიღება დამთავრდა მხოლოდ სამ რაიონში: კვალითის, ხარაგოულის და წიფა-მარელისის. სხვა რაიონებში კი უმთავრესი მამულები ჩამორთმეულია, დარჩა მხოლოდ წვრილი ნაჭრები გასულ წელს მუშაობის დაწყებიდან პირველ დეკემბრამდე შედგენილია და დამტკიცებულია 145 აქტი, რომლებშიდაც მიღებულია ხავარგისი 2678 დესეტინა და 506 ოთხკუთ. საჟ., უვარგისია 25 დესეტინა და 1990 ოთხკ., საჟ., სულ 2704 დეს. და 96 ოთხკ. საჟ დაუმტკიცებელი აქტებია 24, რომლებზედაც საჩივრებია და ჯერ საქმის წარმოება არ დამთავრებულა. შორაპნის მაზრაში მიწების მიღებას ართულებდა ის გარემოება, რომელიც ახასიათებს განსაკუთრებით შორაპნის მაზრას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში არც ერთ მაზრაში არარის ისეთი მდგომარეობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ რაჭის მაზრას, როგორც შორაპნის მაზრაშია, ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა რეფორმის გატარების დროს აქვს თვით ადგილობრივ მიწათ-მფლობელობის ხასიათს. რამდენათ წვრილი მიწათ-მფლობელობა განვითარებული ამა თუ იმ მაზრაში იმდენათად შეფერხებულია რეფორმის გატარების საქმე. მით უფრო იმ ტეხნიკურ მეთოდით, რომლითაც დღეს სწარმოებს მიწების ჩამორთმევა—განაწილება (ლაპარაკია გეგმაზე გადადების პროცესზე). აქ ჩვენ მოვიყვანთ იმ უდყუარ ციფრებს რომლებიც ამოღებულია სამიჯნაო საქმეებიდან მთელ ქუთაისის გუბერნიაში. ამ ციფრებით კი ნათელი იქნება თუ რამდენათ ძნელია რეფორმის დაჩქარება როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. აი ციფრები:

ქუთაისის გუბერნია

| მაზრები | გამიჯნული | ნაკვეთი | გაუმიჯნავი |
|---|---|---|---|
| ოზურგეთის . . . | 178861 | 41361 | 24548 |
| სენაკის . . . . | 132891 | 40789 | 25895 |
| ზუგდიდის . . . | 187615 | 21252 | 87679 |
| ქუთაისის . . . | 243007 | 70564 | 66492 |
| შორაპნის . . . | 148776 | 74942 | 120886 |
| რაჭის . . . . | 140683 | 23340 | 120886 |
| ლეჩხუმის . . . | 170247 | 54670 | 4089 |

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, თუ რა საშინლად დაქუცმაცებულია შორაპნის მაზრაში საერთოდ ადგილები. მაგალითად 148776 შეიცავს 74942 ნაკვეთს. ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ 99% იმ ადგილებისა, რომელიც ჩამოსართმევ მამულებთა ცხრილშია მოთავსებული გაბნეულია სხვა და სხვა სოფლებში და ხშირათ სხვა და სხვა თემებშიაც კი, მაგრამ ეს კიდევ ნაკლები ბოროტება იქნებოდა, რომ ამას ზედ არ ერთოდეს თითქმის ნახევარი მაზრის გაუმიჯნაობა. თქვენ დაინახავდით ზემო მოყვანილ ცხრილში, რომ შორაპნის მაზრაში 127898 დეს. გაუმიჯნავია; ეს კი შეადგენს მაზრის ნახევარს. აი როდესაც ყველა ამას გაითვალისწინებთ, აშკარა იქნება რეფორმის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზები. აქ შეიძლება იფიქროთ, რომ ჩამოსართმევ მამულებში არ იქნება ასეთი მდგომარეობა. მე კი ვამტკიცებ, რომ იქ გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვინემ ისეთ ადგილებში, რომელიც ჩამოსართმევთა რიცხვში არ ირიცხება. ეს გასაგებია, მემამულე ცდილობს თავის ნორმა ერთ ფარგალში მოაქციოს და ამიტომ—ფონდს უთმობს იმ ნაკვეთებს, რომელიც სხვა და სხვა სოფლებში მდებარეობს. ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, რომ წელს მიღებულია მხოლოდ 2704 დეს. 96 ოთხ. საჟ. ვილაპარაკოთ თვით ციფრები.

| რ ა ი ო ნ ი | მიღებული | ნაკვეთები |
|---|---|---|
| მარცხენა-ჭიათურის . | 63 დეს. | 65 |
| საზანოს . . . . . | 67 „ | 108 |
| საჩხერე ჭალის . . . | 64 „ | 207 |
| ძირულის . . . . . | 103 „ | 155 |
| კვალითის . . . . . | 51 „ | 290 |
| ყვირილის . . . . . | 85 „ | 118 |
| წიფა-მარელისის . . | 2041 „ | 361 |
| ხარაგოულის . . . . | 200 „ | 307 |

თუ ამ ცხრილს იმას დაუმატებთ, რომ უმეტესობა ამ ადგილებისა გაუმიჯნავია, მაშინ აშკარა იქნება რეფორმის გატარების დაგვიანების მიზეზი (მიწის მზომლების უქონლობის გამო განსაკუთრებით საჩხერის რაიონში მამულების მიღება ძლიერ შეფერხებულია). აბა წარმოიდგინეთ ერთი წუთით ის მდგომარეობა, რომ გაუმიჯნავ ადგილის და ხშირათ გამიჯნულისაც, ვინაიდან ამ უკანასკნელის საზღვრები უმეტეს ნაწილათ შეცვლილია, უხდება მიწის მზომელს ცალ-ცალკე თვითეული ნაკვეთის ინსტრუმენტით აღება. ჩვენ ვიცით სამიწათმზოლო მეცნიერებიდან, რომ თვითეულ გამოცდილ ტეხნიკ-მიწისმზომელს ერთ სეზონში (6 თვე) შეუძლია დაახლოვებით 300—400 ნაკვეთის გადაღება პლანზე და ისიც თუ ნაკვეთი არ აღემატება საშუალოთ ნახევარ დესიატინას.

აქედან მე იმის თქმა მინდა, რომ გასულ წელს უფრო ძნელი იყო მუშაობა მიწების მიღების მხრივ, ვინემ 1918 წელს. (ამ წელს კომისიებმა გადარიცხეს ფონდში გარდა უზარმაზარ ტყეებისა 8700 დ. სახნავ-სათესი ადგილები). ეს ადვილი ასახსნელია. 1918 წელში კომისიები თითქმის არ შეხებიან ისეთ რაიონებს, რომელიც გამიჯნული არ იყო და მეორეთ ისინი პირველ ხანებში მიწას ართმევდენ მხოლოდ მსხვილ მემამულეებს. ეს გასაგებია. ასე თუ ისე ჩამორთმევის საქმე თითქმის დამთავრების პერიოდშია, მხოლოდ ჩვენს წინაშე უფრო მეტის სიმძაფრით წამოჭრილია საკითხი დანაწილების შესახებ. ნათქვამიდან აშკარათ გამომდინარეობს, რომ თუ ძნელი იყო ჩამორთმევა წვრილ-წვრილ ნაჭრებისა, რომელიც გაფანტულია სხვა და სხვა ადგილას, მით უფრო ძნელია მათი განაწილება, რადგანაც ისეთაც პატარა ნაკვეთი კიდევ უნდა დაიჭრას რამდენიმე ნაწილათ და დაურიგდეს სოფლის მუშას საკუთრებათ 28 იანვრის კანონის მიხედვით. ამიტომ ცხადია ჩვენგან მოითხოვდა აუცილებლობის ულმობელი კანონი, შეცვლილიყო თვით მიწების გამიჯვნის წესი. ეს კი ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: ფონდის მიწებს ანაწილებს სარაიონო კომისიები, რომელსაც უნდა ჰქვდეს ერთი ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლება აქტის შედგენა.

მაგალითად გასაყოფია ერთი ნაკვეთი სივრცით 25 დეს. კომისია ადგილობრივ ამ ნაკვეთს უნაწილებს 50 გლეხს. აგრეთვე კომისია ანაწილებს იმ თანხასაც, რომელიც შეხვდება ამ 25 დეს. მიწას. დგება აქტი საზღვრების და ვარაუდით სივრცის ჩვენებით. ადგილობრივ თითვეულ ნაკვეთს, რომელსაც მიიღებს გლეხი უყრიან დროებით ნიშანს (სამანის მაგიერ). ამის შემდეგ გლეხს მიეცემა ნასყიდობა. რაც შეეხება გამიჯვნას ამას უნდა აწარმოებდეს სამიჯნაო განყოფილება საერთო წესით, ე. ი. როდესაც მიწები დანაწილებულია და გადაცემული გლეხებზე მიწის მზომელი მოახდენს ფაქტიურ გამიჯვნას, ეს გაგრძელდება ათეული წლები, მაგრამ რეფორმა კი გატარებული გვექნება, რაღაც ერთი წლის განმავლობაში. ამ წესით არც გლეხი კარგავს არაფერს და ხაზინაც დროზე აღადგენს უკლებლივ იმ თანხას, რაც უნდა აიღოს. გლეხი არ იზიარებს მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ როდესაც მოხდება ფაქტიური გამიჯვნა მაშინ თუ გამოირკვევა, რომ გლეხს იმაზე ნაკლები რგებია ან მეტი რაც ერგებოდა. ეს ამ დროს შესწორებულ იქნება მეტის მიმღების ხარჯზე. აი ერთად ერთი საშუალება, რომელიც დააჩქარებს რეფორმის გატარებას. აი ამ წესით გვაქვს ჩვენ დაწყებული მიწების განაწილება და იმედია ის შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

(დასასრული იქნება).

# სენატში

საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენლად დანიშნული საქმეები:

1920 წ. იანვრის 29 ქ. ტფილისში, დილის 10 საათი.

1. საქმე № 5. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ კესარია გოშაძის, ქუთაისის ოლქის მომრიგ. მოსამ. ყრილობის განაჩენზე, ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული ს. ს. წ. წ. 119, 127 და 128 მ. მ. და ს. დ. 172, 173 და 176 მ. მ.

2. საქმე № 3. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მელქო არუთუნის ძის საგათელიანცისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1455 მ. სასჯ. დებ.

3. საქმე № 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მაგომედ აბდულ ოღლის დამცველის ნაფ. ვექ. ესსენისა ტფილისის ხასამართლო პალატის განაჩენზე. მაგომედ აბდულ ოღლის ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ.

# მილიციაში.

დაპატიმრება.

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ივანე ილიას ძე ხმალაძე, რომელსაც ალექსანდრე მიხეილის ძე ლოლაძისათვის მოუპარავს სხვა და სხვა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ღირებული 30000 მან. ხმალაძე ქურდობაში გამოტყდა.

—

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ლუკერია გავრიუშინა, რომელსაც მეორე რეალურ სასწავლებლის დირექტორის ფონ ბრეტორისთვის სხვა და სხვა ნივთები მოუპარავს ღირებული 5000 მან. გავრიუშინაც ქურდობაში გამოტყდა.

# რკინის გზაზე

22 იანვარს ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრენ საგანგებო მატარებლით დიდი ბრიტანეთის მთავარი კომისარი ოლივერ უორდროპი და ადერბეიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრი ხან-ხოილი.

22 იანვარს საწრაფო მატარებლით № 6 ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ინჟ. ბეკზადიანი მისიის წევრებით.

ექსპლოატაციის უფროსის აბელოვის განკარგულებით ვაგონები ერთი საათით ადრე გამგზავრებამდე გათბება ორთქლმავლის ორთქლით.

სად. ხეთიდან ზუგდიდისკენ რკინის გზის შენება გძელდება.


## განცხადებანი

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბაშის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 13 ნოემბერს 1919 წელს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფ. ონტოფოს, სენაკის მაზრის მიხეილ მეთოს ძე ნადარეიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ნადარეიშვილის ქონებაზე მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 329 1—1

გრიგოლ თომას ძე გოგილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 99 3 2

სისხლის სამართლის წარმ. წესდ. 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის 4 უბნის მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით ეძებენ ჰაიკ პეტრეს ძეს პაპოვს. ყველა, ვინც იცის სად სცხოვრობს ეს, ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი რომელთ განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საოპეკუნო სასამართლოში. 0515 1—1

ქ. ტფილისის მე 21 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ იოსებ ჭუმბურიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჭუმბურიძის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. მე-X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 991 1—1

ქალაქ ქუთაისის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს დიმიტრი გრიგოლის ძის ინაკავაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულ დიმიტრი ინაკავაძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0524 1—1

ალფესი ბუჩუას ძე თავაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, პირადობის ბარათი მიღებული რკინის გზის სამმართვ. და სოციალ. დემოკრატიულ პარტიის მანდატი. მპოვნელს სთხოვს გაუგზავნოს ს სამტრედიის მილიციის უფროსს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 97 3—2

მარიამ ნიკოლოზის ასული ციციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 75 3—2

დიმიტრი ნიკოლოზის ძე რუხვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული მოსკოვში, მეორე უბნის კომისარიატიდან 1917 წ. № 3750. ნებართვა რევოლვერის ტარების მიღებული ტფილისის საგუბერნიო სამართველოდან. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება. 100 3—2

დავკარგე 3 იანვარს, საღამოს, ტფილისის სადგურზე, მწვანე ქაღალდში შეხვეული ვექსილები, პირობები და რკინის გზის კვიტანციები. ვექსილები იყო მიცემული 1. ვლადიმერ ივანეს ძე თავართქილაძისაგან, 2. ა. ნაცვალაძისაგან და 3. ფარულავა და ამხანაგებიდან და პირობა კი ვ. პაპაიანციდან. ყველა ესენი სხვისთვის უსარგებლონი არიან და მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად, რომ მომიტანოს და მიიღოს ღირსეული საჩუქარი. ჩემი მისამართი: ვერის დაღმართი № 16, შეშის საწყობი ა. ნაცვალაძისა, თუ მე იქ არ ვიყო, იკითხოს ალექსი ნაცვალაძე. 93 3—3

ვიქტორ დავითის ძე ვაჩნაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პორტფელი საჭირო დოკუმენტებით. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს რტიშჩევის ქ. № 19 ვაჩნაძეს ან სად. გურჯაანი ბაკურციხის თემის თავმჯდომარეს ვ. ვაჩნაძეს, რისთვისაც 1000 მან. მიიღებს ჯილდოთ. 92 3—3

ნინა ბოკერია და ლიზა სარდყველაძე აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს სალექციო წიგნაკები ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტიდან მიღებული № 1446 და 1468, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 69 3—3

## საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზის სატვირთო ბარათი (ნაკლადნოია) ბაქო-ტფილისი № 106302, რაიც ამის გამო გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 96 3—2

## კავკასიური მიწათ-მოქმედების და კოლონიის და თავშესაფარის საზოგადოების გამგეობა

იწვევს საზოგადოების წევრებს საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ამა წლის იანვ. 25 სა დღესა დილის 12 საათზე საოლქო სასამართლოს შენობაში (დარბაზი სასამართლო პალატის სისხლის დეპარტამენტის). გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1. წლიური ანგარიში 2. ხარჯთ აღრიცხვა მიმდინარე ამა 1920 წლისა. 3. არჩევა გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრების. 4. ზოგიერთი დებულების მუხლების გადასინჯვა. თუ დანიშნულ კრებაზე გამოცხადდა 20 წევრზე ნაკლები, იმ შემთხვევაში თანახმად დებულების § 17, კრება გადაიდება 1 თებერვალისთვის, 12 საათზე იმავე შენობაში, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 115


სტამბა საქართველოს რესპუბლიკისა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი